



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზღაპრის ბეგარა

ზღაპრის ბეგარა, ბეგრის სახეობა შუა საუკუნეების საქართველოში. აკაკი წერეთლის მოწმობით, „ბატონყმობის დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი“. ზ. ბ. ეკისრებოდათ ზღაპრის თქმასა და შეთხზვაში დახელოვნებულ ყმა გლეხებს. სპეც. მეზღაპრე ჰყოლიათ სვანეთში დადემქელიანებს. ყმა გლეხ მეზღაპრეთა არსებობა დადასტურებულია ქართლშიც.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქს., საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949;
წ ე რ ე თ ე ლ ი ა., განცხადებასავით, «კვალი», 1895, №6.

ჭ. ბარდაველიძე
